

არქეოლოგია ♦ Archaeology ♦ Археология

ლევან ჭაბაშვილი

**თრიალეთის კულტურის ლითონის ჭურჭლის
ანალოგების შესახებ კერამიკულ პროდუქციაში**

თრიალეთის კულტურას თავისებურ და გამორჩეულად ელიტურ ელფერს, სხვა მასალებთან ერთად ლითონის ჭურჭელიც ანიჭებს. აკად. ბ. კუფტინის მიერ 1936-1940 წლებში წალკის პლატოზე წარმოებული გათხრების შედეგად ბრინჯაოსა და ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული რამდენიმე ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი. ყოველი მათგანი ხელოვნების ძვირფას და დახვეწილ ნიმუშს წარმოადგენს [20: ტაბ. LXXXVII, LXXXVIII, XCIII, CI, CII]. შემდგომ წლებში კიდევ რამდენიმე ლითონის ჭურჭელი აღმოჩნდა წალკა-თრიალეთის ფარგლებს გარეთაც, ამ კულტურის კუთვნილ სხვა ძეგლებზეც [18: ტაბ. II-4, 31; ტაბ. III-11 და სხვა]. ეს არტეფაქტები თავიდანვე მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს სპეციალური გამოკვლევებიც მიეძღვნა [28; 24; 27; 19; 5]. მეცნიერთა ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ ზოგიერთ ლითონის ჭურჭელს ფორმის მხრივ ანალოგები მოეპოვება კერამიკულ მასალებში. თუმცა აღნიშნული საკითხი სპეციალური გამოკვლევის საგანი აქამდე არასოდეს გამხდარა.

სამხრეთ კავკასიაში ლითონის ჭურჭელი პირველად სწორედ თრიალეთის კულტურაში გვხვდება. მის თანადროულ ან ქრონოლოგიურად შედარებით უფრო მოგვიანო ხანის სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება თიხის ჭურჭელი, რომლებიც იმეორებს ლითონის ნაკეთობების ფორმებს და ასევე, ზოგჯერ გვხვდება ორნამენტის ცალკეული დეტალებიც, რომლებიც ცნობილია ლითონის ნივთების დეკორიდან.

ბედენის გორასამარხების მასალის შესწავლისას გ. გობეჯიშვილი აღნიშნავდა რომ, კარგად ნაპრიალები კერამიკის დამზადებით ...ბედენელი მეკეცენი ვერცხლის ჭურჭლის მკეთებელთა მეტოქეობას ისახავდნენ მიზნად“ [1:50]. თუმცა, როგორც

ცნობილია, არც ბედენის კულტურის და არც უფრო ადრეულ სამხრეთკავკასიურ არქეოლოგიურ კულტურებში ლითონის ჭურჭელი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

მკვლევართა აზრით, თრიალეთის კულტურაში კერამიკასა და ოქრომჭედლობის ნიმუშებზე დეკორის ცალკეული დეტალების და ორნამენტული მოტივების მსგავსება იმის დასტურია, რომ ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი, დამოუკიდებელი მხატვრული კერა არსებობდა [11:10].

ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-ან წლებში ნახიჭევანში, აზნაბიურთის №3 გორასამარხში აღმოჩენილ წითელ ფონზე შავად მოხატულ კერამიკაზე გამოსახულ ფრინველებს ი. ჰუმელი ამავე სამაროვანზე №1 გორასამარხში აღმოჩენილ ლითონის ფრინველის მცირე ქანდაკებებს ადარებდა [17:39]. როგორც დღეისათვის ცნობილია, აზნაბიურთის №3 გორასამარხი თრიალეთის კულტურის III ფაფის ძეგლების თანადროულია და ამ კულტურას მიეკუთვნება [2:56].

ამის შემდეგ, თრიალეთის კულტურის შემდგომ შესწავლასთან ერთად, ამ პერიოდის სულ უფრო მომრავლებულ ძეგლებზე ასეთი პარალელების რიცხვი თანდათან გაიზარდა. ჩვენ გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ დღეისათვის ჩვენთვის ცნობილ იმ მასალებზე, რომლებიც წარმოგვიჩენს ტორევეტიკისა და კერამიკის ფორმათა ან მათი დეკორის ცალკეული დეტალების ანალოგებს.

ფორმები

1. თრიალეთის XV გორასამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქვაბს ფორმით ემსგავსება ზემო-ბოდბის №4 გორასამარხში აღმოჩენილი კერამიკული ორყურიანი ქვაბი [25:73], (ტაბ. I_{6,7}).

თრიალეთის XV გორასამარხი, როგორც ცნობილია, 1938 წელს იქნა აღმოჩენილი აკად. ბ. კუფტინის მიერ წალკის პლატოზე წარმოებული სამუშაოების დროს. ბრინჯაოს ქვაბის გარდა, აქ ხელოვნების სხვა უამრავი და გაცილებით მაღალმხატვრული დონის ბრწყინვალე ნიმუშია წარმოდგენილი, როგორცა მაგალითად ოქროს „შტანდარტი“, ვერცხლის თასი, ბრინჯაოს შუბისპირი, მოხატული კერამიკა და სხვა. ეს გორასამარხი ე. გოგაძის მიერ თრიალეთის კულტურის III საფეხურის კუთვნილ ძეგლებთან არის გაერთიანებული [2:95]. ზემო ბოდბის №4 გორასამარხი კი შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება. აქ აღნიშნულ თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ასევე ოცზე მეტი სხვა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევრები, ქვის კვერთხისთავი, ობსიდიანის ისრისპირები და სხვა ნივთები [25:155, ტაბ. VI₃₀]. თრიალეთის ლითონის ქვაბი დამზადებულია

სპილენძის თხელი ფურცლისაგან. ჭურჭლის პირი დამზადებული ცალკე, ლითონის ბრტყელი ფურცლისგან (სიგანე 2-2.2 სმ) რომელიც კორპუსზე მიმაგრებულია ლითონის 22 მაჭვლით. 1.5 სმ სისქის სახელურები დამზადებული ერთმანეთზე მირჩილული ლითონის ფურცლებისგან და ლითონის მანჭვლებითვეა მიერთებული ჭურჭლის კორპუსზე. ძირი ქვემოთ არის გამოზნექილი. პირის დმ.- 48-50 სმ., კედლის სისქე-0.1 სმ., პირის სისქე 0.2-0.3 სმ [26:88]. ზემო ბოდბის ქვაბი დამზადებულია უხეში, მოყავისფრო თიხისგან. ჭურჭელი შემკულია ამოღარული ხაზებითა და კოპების რიგით. ჭურჭლის სიმაღლეა 21 სმ. ხოლო პირის დიამეტრი 31 სმ. პირზე დაძერწილია 2 ვერტიკალური ყური. სავარაუდოდ, რელიეფური კოპები აქ ლითონის ჭურჭლის მანჭვლების იმიტაციას წარმოადგენს. ზუსტად იგივე შემთხვევაა ცნობილი ტროა VI-ის დროინდელ კერამიკაზე, სადაც ანატოლიურ რუხეციციან კერამიკაზე დაფიქსირებულია ლითონის ჭურჭლის ანალოგიური მანჭვლები [32:308-309].

თრიალეთის ზემოთხსენებული ქვაბი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მას ადგილობრივ გარემოში სხვა პარალელები არ გააჩნია. სამხრეთ კავკასიაში შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე რამდენიმე განსხვავებული ფორმის ლითონის ქვაბია აღმოჩენილი. ამ ქვაბს კი პარალელები მხოლოდ წინააზიურ და ეგეოსურ სამყაროში მოეპოვება [10:9-12].

2. თრიალეთის XV გორასამარხში აღმოჩენილია ასევე ბრინჯაოს ფეხიანი თასი (ვაზა). იგი სიმაღლით 20 სმ-ა, პირის დმ 20-21 სმ. [26:88]. ამ ფორმის თიხის ჭურჭელი, ე.წ. „ღრუფეხიანი“ თასი, რომელთა პროტოტიპი ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანიდან არის ცნობილი, დამახასიათებელია შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ხანის ძეგლებისთვის. ნაწილობრივ სახეშეცვლილი ფორმით ისინი ახასიათებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს, შემდეგი პერიოდის ძეგლებზე ისინი, მართალია, გვხვდება მაგრამ ძალიან სპორადულად [25:72-73], (ტაბ. I^{4,5}). შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან იგი ცნობილია წალკლის № 141 სამარხიდან [7:74, ტაბ. 50^{7,5}].

აქაც იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც ქვაბთან დაკავშირებით. ამ არტეფაქტსაც ადგილობრივ გარემოში ლითონის ჭურჭლებს შორის პარალელები არ მოეძებნება, მაშინ როდესაც წინა აზიასა და ეგეოსურ სამყაროში მსგავსი ლითონის არტეფაქტები თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც უდავოდაა ცნობილია [8:103].

თრიალეთის ამ ლითონის თასთან, კერამიკული ღრუფეხიანი თასების მსგავსებაზე ჯერ კიდევ 60-ან წლებში კ. კუშნარიოვა

წერდა, რომ ისინი ლითონის ქურჭლის რეპლიკას წარმოადგენს [22:94-95].

3. თრიალეთის XV ყორღანის ვერცხლის სასმისს ფორმით ჰგავს ფრინველის გორის და ნულის სამაროვნის კერამიკული სასმისები [22:95]. მსგავსი კერამიკული სასმისები აღმოჩენილია ასევე ნაღვლის სამაროვანის შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულის სამარხებში [7: ტაბ. 3₃₉, 6₁₄₈, 22₂₉₁], (ტაბ. II_{1,2}).

4. უზერლიკ თევფს 2-ე ფენის პატარა ფეხიანი კერამიკული თასები იმეორებს თრიალეთისა და განსაკუთრებით კი კიროვაკანის ყორღანის ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული თასების ფორმას (კიროვაკანის ყორღანში აღმოჩენილი ოქროს თასი ლომების გამოსახულებით [21:405-406], (ტაბ. I_{1,2,3}).

შემკულობა

1. თრიალეთის XVII გორასამარხის ოქროს თასის ორნამენტი – სპირალური ვოლუტის მოტივი ჰგავს ამავე გორასამარხის ერთ-ერთი მოხატული კერამიკის ორნამენტს (ტაბ. II_{5,6}). აღსანიშნავია, რომ ვოლუტის მოტივი გვხვდება უფრო ადრეულ ძეგლებზეც. ორვოლუტიანი ბრინჯაოს ქინძისთავები ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურაში. ეს მოტივია გამოყენებულია აგრეთვე ბედენის და წნორის ყორღანების საკინძების შემკულობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ რელიეფური ვოლუტითაა შემკული თრიალეთში 1958 წელს აღმოჩენილი ურმის ხელნის ბოლო [11:58-59].

2. ცენტრალურ ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გავრცელებულ ფრინველის მცირე ქანდაკებების არაპირდაპირ წინამორბედებად მიიჩნევენ თრიალეთის კულტურის მოხატულ კერამიკაზე წარმოდგენილ ფრინველთა გამოსახულებებს სხეულზე დაუფერავი სამკუთხა არებით, რომლებიც გვიანბრინჯაოს სკულპტურათა თავისებურებას უნდა ასახავდეს და მიუთითებდეს ჭვირულ სკულპტურათა არსებობაზე ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში [3:14].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ფრინველის სტილიზებული სკულპტურები ცნობილია მესხეთიდან, შუა ბრინჯაოს მინურულით დათარიღებული ჯულღას კოლექციიდან [15:21], ხოლო ამავე პერიოდით დათარიღებულ ზველის № I ყორღანში აღმოჩნდა ვერცხლის გარსაკრავი, რომელზეც გამოსახულია მოცურავე ფრინველი [14:25, ტაბ. XI₅₋₆].

3. თრიალეთურ ოქრომჭედლობაში ცნობილი გრეხილშემოვლებული ან გავარსშემოვლებული ფერადი თვლების მიბაძვად ითვლება თრიალეთური კერამიკაზე რელიეფური ნახევარსფერული კოპები, ბურთულები ან კონცენტრული წრეები, რომლებიც

ზოგჯერ ნერტილოვანი ჩარჩოთია გარშემოვლებული [II:6I, სურ. 10].

4. გრეხილების, ნწულების თუ გავარსის მსგავს ორნამენტულ სახეებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თრიალეთური კერამიკის შემკულობაში. მაგალითად, მჭიდრო ირიბი შტრიხებით შედგენილი ზოლები ორნამენტული ფუნქციით ახლო დგას გრეხილურთან. ხოლო ასეთი ორი შეწყვილებული ზოლი ე.წ. „წინვისებური“ ორნამენტი ნწულის თავისებურ გრაფიკულ პარალელად უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ორნამენტი თიხის ჭურჭელზე გარშემოვლებულ რელიეფურ ზოლს ამკობს და ისევე, როგორც ოქროს ნწული, გრეხილი თუ გავარსი, ჭურჭლის ზედაპირის დონეზე მაღლაა განლაგებული და ძეგლის შემკულობას სივრცობრივ განვითარებას ანიჭებს [II:63, ტაბ. XXXIV].

5. ნერტილოვანი სარტყლების მოტივი ხშირია თრიალეთურ კერამიკაზე. გარეგნული მსგავსების ნიშნით, ნერტილოვანი ზოლების მოტივი სამკაულებისა თუ სხვა ოქრომჭედლური ძეგლების გავარსის პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ [II:63].

6. ჯვრის გამოსახულება გვხვდება როგორც თრიალეთის XVII ყორღანის ოქროს თასის ძირზე ასევე ეს გამოსახულება წარმოდგენილია თრიალეთის კერამიკაზე [II:64].

7. მესხური შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალის დეკორში მოცემული ორნამენტაცია (სამკუთხედები, სვასტიკები, სპირალური ხეიები და ბურცობები) პირდაპირ გადადის გვიანბრინჯაოს ხანის დისკოსებური გულსაკიდების შემკულობაში, სადაც მან შერწყმული ხასიათი მიიღო და მზის კულტის მსახურებაში იქნა გამოყენებული [I6:32; 9:25-26, ტაბ. XXI].

8. ერთმანეთში ჩასმული მცირე წრეების ორნამენტი. ამ ორნამენტით შემკულია სადულა 2 გორასამარხის ერთ-ერთი დერგი (ამოღარვით შესრულებული) ასევე ამავე გორასამარხში აღმოჩენილი ოქროს შტანდარტის ერთ-ერთი ნაწილი და ასევე ტყავის დროშაც [4:60, ტაბ. XXX₁₋₃, XXX₂].

9. ლენტური სწორი კუთხეები III ჯგუფის კერამიკიდან ამავე ჯგუფის სხვა ნაკეთობებზეც, ოქროს შტანდარტზეც გვხვდება [2:55, ტაბ. 22₂, 19₂₉], (ტაბ. II_{3,4}).

10. გრავირებული წრეები ცენტრში ნერტილით გვხვდება თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკასა და ოქროს ფოლგაზე [2:87].

ლითონის ნაკეთობების კერამიკული იმიტაციები სხვაგანაც ბევრი გვხვდება, როგორც სამხრეთკავკასიურ ბრინჯაოს ხანის

კულტურებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კანთაროსისებური თიხის ჭურჭელი თრელის № 43 სამარხიდან და შუა ბრინჯაოს დასასრულის სხვა კომპლექსებიდან ფორმით ემსგავსება ეგეოსურ ლითონის კანთაროსს [12:119-121]. ბორნილელს № 100 სამარხში (ძვ. წ. XV-XIV სს.) აღმოჩენილი ბრინჯაოს რიტონი გარეგნული ნიშნების მიხედვით მსგავსებას პოულობს ანატოლიაში ქიულთეფეს ცნობილ ფესხაცმლის ფორმის თიხის რიტონთან, რომელიც ძვ. წ. 2000-1700 წლებით თარიღდება [9:18].

ზემოთ მოტანილი მაგალითების უმრავლესობა (ბრინჯაოს ქვაბი – თიხის ქვაბი, ბრინჯაოს ღრუფეხიანი ვაზა – თიხის ღრუფეხიანი თასები, ბრინჯაოს საკინძი – მსავსი რელიეფური გამოსახულება კერამიკაზე) მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი თიხის ჭურჭლის ან მასზე მოცემული ცალკეული შემკულობის დეტალის დატანისას ითვალისწინებდნენ და მაგალითად იღებდნენ ლითონის ნაკეთობების ფორმებს და შემკულობის დეტალებს. თუმცა, დასაშვებია ასევე საწინააღმდეგო პროცესიც. ლითონის ჭურჭლის დამზადებისას და მასზე შემკულობის დატანისას გაეთვალისწინებიათ მეთუნეობაში უკვე გამოყენებული ფორმები თუ შემკულობის დეტალები. მაგალითად, თრიალეთის კულტურის მოხატულ კერამიკაზე წარმოდგენილ ფრინველთა გამოსახულებებს მიიჩნევენ გვიანბრინჯაოს ხანის მცირე ქანდაკებების პროტოტიპებად. აღსანიშნავია, რომ, მაიკოპის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქვაბებთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი არის ადგილობრივი პროდუქცია, რადგანაც იმეორებს ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ფორმებს, ხოლო ნოვოსვებოდნიას და ბამუტის ქვაბები შემკულია „მარგალიტისებური“ ორნამენტით (“жемчужный орнамент”), რომელიც დამახასიათებელია გვიანმაიკოპური კერამიკისთვის [23:25.]. იგივე აზრია გამოთქმული გერმანიაში, გველინგჰაუზენში აღმოჩენილი, ძვ.წ. VIII საუკუნით დათარიღებული ბრინჯაოს ამფორის შესახებ, რომ იგი უნდა იმეორებდეს კერამიკული ჭურჭლების ფორმას [29, :35-36].

თრიალეთის კულტურის მასალებთან დაკავშირებით ჩანს, რომ ამ ეპოქაში ადგილი ჰქონდა ლითონის ნაკეთობების ფორმების და ორნამენტის გამეორებას სხვა უფრო ადვილად მოსაპოვებელი მასალისაგან დამზადებულ ნივთებში. პრესტიჟული ნივთების მინაბადების დამზადება პრეისტორიულ ეპოქაში ცნობილი მოვლენაა და მას უამრავი პარალელი აქვს. მაგალითად, ჯ. მელაარტის მიხედვით ბეიჯესულტანის III-I ფენებში აღმოჩენილი ქარსის მინარევიანი ზოგიერთი თიხის ჭურჭელი სპილენძის, ვერცხლის

და ოქროს ჭურჭლების იმიტაციას წარმოადგენს [30:105]. ხშირად ვხვდებით ასეთ ფაქტებს ანტიკურ ეპოქაშიც. ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთსა და რომში მზადდებოდა უამრავი ლითონის ჭურჭლის იმიტაციები, რომელთა ფასი გაცილებით დაბალი იყო [33:64-66]. ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში აქემენიდურ და ელინისტურ ხანაში ძვირფასი ლითონის და მინის ფიალების მიბადვით მზადდებოდა იგივე ფორმის და დანიშნულების თიხის ფიალები [13:82]. ასეთი ცხადი მაგალითები ბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან არ არსებობს, თუმცა მაინც შესაძლებელია მსგავსი ტენდენციების დაფიქსირება.

ლითონის არტეფაქტების სხვა მასალისგან დამზადებულ ნაკეთობებთან მსგავსების ფაქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე რელატიური ქრონოლოგიის საკითხების განხილვისას. რადგანაც ასეთი მსგავსება ცალკეულ ძეგლებს შორის მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი 1981
2. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი 1972
3. ნ. გომელაური, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მცირე პლასტიკა. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი 2005
4. შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, სადულას ველის შუაბრინჯაოს ხანის №2 გორასამარხი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI. თბილისი 1984. გვ. 56-63
5. ფ. თავაძე, შ. მესხია, ვ. ბარქაია, ფურცლოვანი ლითონების ჩარხზე დამუშავება ძველ საქართველოში. თბ. 1954
6. გ. ნარიმანიშვილი, სარიტუალო გზები თრიალეთის ყორღანებთან. ძიებანი II, 2003, გვ. 9-22
7. ა. რამიშვილი, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წალვლში. ხაშურის ექსპედიციის შრომები I. თბ. 2004
8. მ. ფუთურიძე, სამხრეთ კავკასია-ეგეოსური სამყაროს კულტურული კონტაქტების საკითხისათვის ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში. ენა და კულტურა 3. თბილისი 2002. გვ. 100-109

9. ი. ლამბაშიძე, სამცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებში (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბილისი 1999. საკანდიდატო დისერტაცია
10. ლ. ჭაბაშვილი, თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. ამირანი. კავკალიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. ტ. XXI. მონრეალი-თბილისი 2009. გვ. 7-16
11. ნ. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თრიალეთის კულტურა. თბილისი 1981.
12. М. Р. Абрамишвили, Этнокультурные связи Закавказья с Малой Азией и Эгейским миром в середине второго тысячелетия. Аннотации Душетской научной конференции. Тбилиси 1984. С. 119-122.
13. Ю. М. Гагошидзе, Самadlo (результаты раскопок). Тбилиси 1979
14. О. Гамбашидзе, К. Квижинадзе, Предварительный отчет работы Месхет-джавахетской археологической экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1975 г. Тбилиси. 1979. с. 22-26.
15. О. С. Гамбашидзе, К. Д. Квижинадзе, О. В. Ткешелашвили, В. Т. Личели, Месхет-джавахетская экспедиция. Полевые Археологические Исследования в 1981 г. Тбилиси. 1984. с. 18-21.
16. О. С. Гамбашидзе, К. Д. Квижинадзе, И. О. Гамбашидзе, Основные результаты работ Месхет-джавахетской экспедиции в 1985-1986 гг. Полевые Археологические Исследования в 1986 г. Тбилиси. 1991. с. 27-34.
17. Я. И. Гуммель, Крашенная керамика в долине Ганджа-чая, погребение 3. Известия Азербайджанского Филиала Академии Наук СССР. Баку 1939. с. 37-41.
18. С. Г. Деведжян, Лори-берд I, результаты раскопок 1969-1973 гг. Ереван 1981.
19. Н. Джафаридзе, Ювелирное искусство эпохи бронзы в Грузии, Триалетская культура. Тбилиси. 1988
20. Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941
21. К.Х. Кушнарера, Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-тепе около Агдама. Материалы и Исследования по Археологии СССР 67. Москва-Ленинград 1959. с. 388-430.
22. К. Х. Кушнарера, Новые данные о поселении Узерлик-тепе около Агдама. Материалы и Исследования по Археологии СССР 125. Москва-Ленинград 1965. с. 74-102.
23. Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов, О древнейшей металлургии Кавказа. Советская Археология 4, Москва 1968. с. 16-26

24. В.Оганесян, Серебряный кубок из Карашамба. Ереван, Историко Филологический Журнал 4(123), 1988, с. 145-161
25. К.Н. Пицхелаури, Восточная Грузия в конце бронзового века. Тбилиси 1979
26. Л.Г.Жоржикашвили, Э.М.Гогадзе, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы (раскопки 1936-1940, 1947-1948 гг.). Каталог триалетских материалов II, Тбилиси 1974
27. R. M. Boehmer., G. Kossack, Der figürlich verzierte Becher von Karašamb: Umfeld, Interpretation und Zeitstellung, Iran und Westen. Gedenkschrift für P. Calmeyer, R. Dittmann., B. Hroudá., U Löw., P. Matthiae., R. Mayer-Opificius., S. Thürwächter. (Hrsg.). 2000. s. 9-71.
28. N. Djafaridze, Zwei Becher aus Trialeti. Georgica Heft 9. Jena-Tbilissi 1986. s. 68-72.
29. A. Jockenhövel, Eine Bronzeamphore des 8. Jahrhunderts v. Chr. von Gevelinghausen, Kr. Meschede (Sauerland). Germania 52. 1974, 16-47
30. J. Mellaart / A. Murray, Beycesultan. Band III. Teil II. Ankara 1995.
31. Pizchelaуri K., Orthmann W., Der Kurgan „Tetri Kwebi I“. Georgica Heft 15, Konstanz 1992. s. 15-22.
32. W. Rieger, Metallimitationen in spätbronzezeitlicher troianischer Keramik. Mauer Schau. Band I. Festschrift für M. Korfmann, Aslan R., Blum S., Kastl G., Schweizer F., Thumm D. (Hrsg.), Remshalden-Grunbach 2002. 307-314
33. M. Vickers, Was ist Material wert? Eine kleine Geschichte über den Stellenwert griechischer Keramik. Antike Welt. 2. 2004. 63-69.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I. 1 - ოქროს თასი კიროვაკანის ყორღანიდან. Кушнарєва 1965-ის მიხედვით. ტაბ. 25₃.
- 2 - კერამიკული თასი უზერლიკ-თეფედან. Кушнарєва 1965-ის მიხედვით. ტაბ. 25₁.
- 3 - კერამიკული თასი უზერლიკ-თეფედან. Кушнарєва 1965-ის მიხედვით. ტაბ. 25₂.
- 4 - ბრინჯაოს ვაზა თრიალეთის XV გორასამარხიდან. გოგაძე 1972 -ის მიხედვით. ტაბ. 22₉.
- 5 - კერამიკული თასი ზემო-ბოდბის I გორასამარხიდან. Пицхელაური 1979-ის მიხედვით. ტაბ. V₆.
- 6 - ბრინჯაოს ქვაბი თრიალეთის XV გორასამარხიდან. გოგაძე 1972-ის მიხედვით. ტაბ. 22₁₂.
- 7 - თიხის ქვაბი ზემო-ბოდბის №4 გორასამარხიდან. Пицхელაური 1979-ის მიხედვით. ტაბ. VI₃₀.
- ტაბ. II. 1 - ვერცხლის თასი თრიალეთის XVII გორასამარხიდან
- 2 - კერამიკული სასმისი ნაღვლის №60 სამარხიდან. რამიშვილი 2004-ის იხედვით. ტაბ. 22₂₉₁.
- 3 - თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. თრიალეთის VII გორასამარხიდან. გოგაძე 1972 ის მიხედვით. ტაბ. 19₂₉. (მასშტაბის გარეშე)
- 4 - ოქროს “შტანდარტი” თრიალეთის XV გორასამარხიდან.
- 5 - მოხატული ჭურჭელი თრიალეთის XVII გორასამარხიდან. ნარიშვილი 2003-ის მიხედვით. ტაბ. IX₁.
- 6 - ოქროს თასი თრიალეთის XVII გორასამარხიდან. ნარიშვილი 2003-ის მიხედვით. ტაბ. IX₇.

Beschreibung der Abbildungen


- Abb. I. 1 - Goldener Becher aus Kirovakan Hügelgrab. Nach Кушнарєва 1965. Abb. 25₃.
- 2 - Keramikgefäß aus der Siedlung Uzerlik-Tepe. Nach Кушнарєва 1965. Abb. 25₁.
- 3 - Keramikgefäß aus der Siedlung Uzerlik-Tepe. Nach Кушнарєва 1965. Abb. 25₂.
- 4 - Bronzegefäß aus Trialeti Hügelgrab XV. Nach Gogadze 1972. Abb. 22₉.
- 5 - Keramikgefäß aus Zemo-bodbe Hügelgrab 1. Nach

- Пицхелаური 1979. Abb. V₆.
 6 - Bronze Kessel aus Trialeti Hügelgrab XV. Nach Gogadze 1972. Abb. 22₁₂.
 7 - Keramikgefäß aus Zemo-bodbe Hügelgrab 4. Nach Пицхелаური 1979, Abb. VI₃₀.
 Abb. II. 1 - Silbernes Gefäß aus Trialeti Hügelgrab XVII.
 2 - Keramikgefäß aus dem Grab Tsagvli 60 Nach Ramishvili 2004, Abb. 22₂₉₁.
 3 - Fragment eines Keramikgefäßes aus Trialeti Hügelgrab VII. Nach Gogadze 1972. Abb. 19₂₉. (ohne M)
 4 - Goldene „Standart“ aus Trialeti Hügelgrab XV.
 5 - Bemaltes Gefäß aus dem Trialeti Hügelgrab XVII. Nach Narimabishvili 2003, Abb. IX_{1,6} - Goldener Becher aus Trialeti Hügelgrab XVII. Nach Narimabishvili 2003, Abb. IX₇.

Levan Tchabaschwili

Über die Keramikimitationen der Trialeti Kultur Metallgefäße Zusammenfassung

Die Metallgefäße in Südkasien erschienen erst in der Mittelbronzezeit, in den Komplexen der Trialeti Kultur. Diese sind sowohl aus Bronze oder Kupfer als auch aus Edelmetall. Gleichzeitig gibt es auch Keramikgefäße die in ihrer Form Metallgefäßen ähneln. In einigen Fällen gibt es Beispiele in denen ein und dieselbe Dekorart auf Metall-, als auch Keramikgefäßen vorkommt. Im diesem Artikel werden alles diese Beispiele der Trialeti Kultur zusammengefasst. Es wird versucht die Frage zu beantworten, ob diese Tatsache für die Beurteilung der relativen Chronologie relevant ist, oder nicht.



ტაბ. I Abb.

II



ტაბ. II Abb.